ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 149
14/09/2016

149-08-4-201609141408

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 21 სექტემბერს, დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"- ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელი: ბექა შენგელია

1.2. ,, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. № 69-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი- 28.01.22.048) საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ."

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

1.3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. საჭამიასერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული #28.16.22.014

საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა- ნაგებობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან ჩამოწერის, დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგის ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ,,ანგარიში ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღებისას ბიუჯეტში შეტანის თაობაზე გაწეული საქმიანობის შესახებ.“

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.5. ,,სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.“

მომხსენებელი: დავით შარაშიძე

1.6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემისა და მიღების საკითხებში არსებული მდგომარეობის შესახებ.“

მომხსენებელი: დავით შარაშიძე

1.7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა